

საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირთა მქონე ლოკალური პრევერბები აფხაზურში

ავტორი ნანა მაჭავარიანი

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, პ. ინგოროყვას #8.

ელფოსტა: nana.machavariani@gmail.com

ანოტაცია:

აფხაზურ ენას, ინკორპორაციული ბუნების გამო, უხვად მოეპოვება ე. წ. ლოკალური პრევერბები, რომლებიც ერთვიან ზმნას და ზოგჯერ სახელსაც და უცვლიან მას მნიშვნელობას, გამოხატავენ მიმართულებას, ადგილმდებარეობას და სხვ.

როგორც ცნობილია, ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე მორფოლოგიური ოდენობებია, რომლებიც დროთა განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში, თავიანთ ამოსავალ მნიშვნელობას დაშორდნენ და მოდალურ ელემენტებად ჩამოყალიბდნენ.

ასეთ ენობრივ უბანში იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებული ერთობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლოკალური თუ სხვა შინაარსის მქონე მოდალური ელემენტები ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენს.

სტატიაში განხილულია რამდენიმე ლოკალურ პრევერბი, რომლებიც, ჩვენი აზრით, საერთო იბერიულ-კავკასიური წარმომავლობისა უნდა იყოს:

გარა „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებით. შდრ.: ქართ. **რაგვი**, **შემორაგვა**, მეგრ.: **გორაგუა**, **რაგუა**, სვან.: **რḡჟ** „დანგრევის პირას მისული (შენობა, გზა)“.

მაა „სითხესთან, წყალთან დაკავშირებით“, შდრ. ქართ.: **ვეძა**, **ვეძისი**, **ვეჯა**, **ვეჯინის ხევი**.

ჩაზენ - (**ჩაზენ-**) „ცხენზე თან“, შდრ.: ქართ.: **ცხენი**, მეგრ.: **ცხენი**, სვან.: **ჩḥჟ**. ამ ლექსემასთან დაკავშირებით საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართულსა და მეგრულს შორის არსებულ იდენტურ **ც / ც** შესატყვისობას, სვანურის მსგავსად, აფხაზურში **ც / ჩ** ბგერათმესატყვისობა შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურს „ცხენის“ აღსანიშნავად თავისი საკუთარი **აჩჟ** ლექსემა აქვს, აღნიშნულ ლოკალურ პრევერბში გვხვდება ქართველური **ცხენ** სიტყვის **ჩაზენ** - (**ჩაზენ-**) შესატყვისი.

კჭა/გ „სახლის კუთხესთან“ დაკავშირებით, შდრ.: ქართ.: **კუნჭული**, მეგრ.: **კუჭული**...

კედ „ზედ, სიბრტყეზე“, შდრ.: ქართ.: **კედელი**, **კიდე**, **კედარო**, მეგრ.: **კიდა** „კედელი“, **ჯებირი**“, „ტიხარი“, სვან.: **ჭუედ** „კედელი“.

მგა/გ „შიგნით“, („მუცელში“) შდრ.: ქართ.: გულ-გვამი, მეგრ.: გვამი „მუცლის ღრუ“, სვან.: გუამ „მკერდი, გულმკერდი“.

ფგრა / გ „წინ“ შდრ.: ქართ.: ფერდი.

ფა / გ „წინ, პირისპირ“, შდრ.: ქართ.: გადაფარება, მეგრ.: ფორუა, სვან. ლიფრაჟ.

ღრა/გ „მუცელში“, „შიგ (სიღრმეში)“ შდრ.: ქართ.: ღრუ /ღარი, სვან.: ღარი „მუცლის ღრუ“.

ნყგ „სივრცეში“ შდრ.: ქართ.: ყენ.

კვლა / გ „ჭუჭრუტანაში“, „გამჭოლ“ შდრ.: ქართ.: კენ/ სკნელ.

ხა / გ „მალა, თავთან დაკავშირებით“ შდრ.: ქართ.: ხურ / ხურვა, ახურავს.

ლა / გ „შიგ, შორის“, შდრ.: ქართ.: ლალვა / შელალა, მეგრ. ულა, სვან. ლი-ზელ-ალ...

ყა / გ „მჭიდროდ მიკრული“, შდრ.: ქართ.: ყუნჭ / ყუნწ / ყუა.

კნ / გ // კენ „დაკიდება“, შდრ.: ქართ.: სკნელ / კნელ.

ფგდ / გ „მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, სიბრტყეზე“, „ზედ“, შდრ.: ქართ.: გული, მეგრ. გური, სვან. გუი, გუ.

ვა / გ „გვერდით“, შდრ.: ქართ. გვერდი.

კ / გ „გარშემო“, „ირგვლივ“, შდრ.: ქართ. ცე-კვ-ა.

მლა / ბლა / გ „წელზე“, შდრ.: ქართ. ჩა-ბლა-უჭება.

ჟ „ზედ (გდებით, ცემით)“, შდრ.: ქართ. ჟვავი, შვავი, ჟვეტა, შვეტა, მეგრ.: ზვე „ზვავი, ზვავად მოსული (ბალახი, სარეველა), სვან.: ჟი „ზე, ზედ“.

სტატიაში წარმოდგენილია შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამისი მასალაც.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ენა, ლოკალური პრევერბი, იბერიულ-კავკასიური.